ვინ იყვნენ რაინდები?

გაიხსენე რომელიმე წიგნი ან ფილმი რაინდების შესახებ. რა თვისებებით გამოირჩეოდ-ნენ ისინი? წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ წვრთნიდ-ნენ ძველად რაინდებს.

ძველ დროში რაინდი სამხედრო პირი იყო ევროპაში. რაინდობისთვის ახალგაზრდა ბავშვობიდან ემზადებოდა. მას, ვისაც რაინდობა სურდა, შვიდი წლის ასაკში ოჯახი უნდა დაეტოვებინა. მშობლები ვაჟს რომელიმე **დიდებულის** სასახლეში გზავნიდნენ. იქ იგი ჯერ ცხენზე ჯდომასა და **ჭენებას** სწავლობდა. ასევე მშვილდის სროლაში ვარჯიშობდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი მას უკვე ხმლით ბრძოლა და რაინდის ქცევის წესები უნდა ესწავლა. ასეთი ვარჯიში 14 წელიწადს მაინც გრძელდებოდა. თუკი ახალგაზრდა ყველაფერს კარგად ისწავლიდა, 21 წლის ასაკში უკვე რაინდი ხდებოდა. ამის შემდეგ მას ზუსტად უნდა დაეცვა რაინდის ყველა წესი.

პირველ რიგში, რაინდი **მამაცი** მებრძოლი და ერთგული ადამიანი უნდა ყოფილიყო. უნდა ჰყვარებოდა ღმერთი. ყოველთვის დაეცვა სიმართლე. თავაზიანობა უნდა გამოეჩინა ქალების მიმართ.

რაინდის მთავარი იარაღი ფარი და ხმალი იყო. თუმცა შუბით, ხანჯლითა და საბრძოლო ნაჯახითაც ებრძოდა მტერს. ბრძოლაში **ჯაჭვის პერანგსაც** ატარებდა. თუ რაინდი მდიდარი იყო, მას სამი ცხენი ჰყავდა. ერთს ბრძოლაში იყენებდა, მეორეს – სამგზავროდ. მესამე კი ყოველდღიური შრომისთვის ჰყავდა.

როგორც ხედავ, რაინდი **რჩეული** ადამიანი იყო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეს საუკეთესო თვისებების მქონე მამაკაცზე ამბობენ, ნამდვილი რაინდიაო.

რაინდის თვისებებიდან, შენი აზრით, რომელია თანამედროვე ახალგაზრდისთვის მნიშვნელოვანი?

დონე: B გამარტივული, კომპონენტი: შეჯამება

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 სად ემზადებოდა ახალგაზრდა რაინდობისთვის?

ა) იმ ოჯახში, სადაც იგი დაიბადა.

ბ) რომელიმე დიდებულის სასახლეში.

გ) ყველგან, სადაც ვარჯიში შეიძლებოდა.

2 მომავალ რაინდს ავარჯიშებდნენ:

ა) თოთხმეტი წლის განმავლობაში.

ბ) ოცდაერთი წლის განმავლობაში.

გ) შვიდი წლის განმავლობაში.

3 რაინდი უნდა ყოფილიყო:

ა) ძალიან განათლებული ადამიანი.

ბ) ძალიან თავაზიანი ადამიანი.

გ) ძალიან მდიდარი ადამიანი.

4 რომელი იყო რაინდის მთავარი საბრძოლო იარაღი?

ა) ფარი და ხმალი. ბ) შუბი და ნაჯახი. გ) ხანჯალი და ნაჯახი.

5 ტექსტის მთავარი მიზანია გაგვაცნოს:

ა) ვინ იყო რაინდი და რით გამოირჩეოდა იგი.

ბ) რა სამოსს ატარებდა რაინდი ბრძოლაში.

გ) რაში სჭირდებოდა შეძლებულ რაინდს სამი ცხენი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ვაჟს მშობლები რომელიმე **დიდებულის** სასახლეში გზავნიდნენ. აქ **დიდებული** ნიშნავს:
   ა) გამოცდილ მასწავლებელს.
   ბ) მდიდარსა და კარგი გვარის ადამიანს.
   გ) სახელგანთქმულ მებრძოლს.

2. მომავალ რაინდს ცხენის **ჭენებას** ასწავლიდნენ.
   ა) ცხენზე სწორად ჯდომას.
   ბ) ცხენის კარგად მოვლას.
   გ) ცხენის სირბილით ტარებას.

3. რაინდი **მამაცი** მებრძოლი იყო.
   ა) სწრაფი. ბ) უშიშარი. გ) ჭკვიანი.

4. რაინდი **თავაზიანი** უნდა ყოფილიყო:
   ა) გაბედული. ბ) ზრდილობიანი. გ) თავდადებული.

5. რაინდი ბრძოლაში **ჯაჭვის პერანგს** ატარებდა. **ჯაჭვის პერანგი** არის:
   ა) რკინისაგან გაკეთებული იარაღი.
   ბ) რკინისაგან დამზადებული ფეხსაცმელი.
   გ) რკინისაგან მოქსოვილი ჩასაცმელი.

6. რაინდი **რჩეული** ადამიანი იყო.
   ა) ახალგაზრდა. ბ) საუკეთესო. გ) ჩვეულებრივი.

2 სწორად შეარჩიე სიტყვა და დაასრულე წინადადება.

შუბი, ფარი, ხმალი, ხანჯალი არის ----------. *(იარაღი/ტანსაცმელი)*

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. რაინდი დღეს ---------- ადამიანს ნიშნავს. *(გულადს/გულად)*

2. ოჯახი შვილს დიდებულის სასახლეში ----------. *(გზავნიდა/გზავნიდნენ)*

გრამატიკა

2 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

ბრძოლაში ჯაჭვის ---------- ატარებდა.

ა) პერანგი. ა) პერანგმა. ა) პერანგს.

3 შეარჩიე გამოტოვებული სიტყვის სწორი ფორმა.

1. რაინდს ---------- ბრძოლა უნდა ესწავლა. ***(ხმლით/ ხმალით)***
2. რაინდი ---------- იბრძოდა. ***(ხანჯალით/ ხანჯლით)***
3. რაინდი ყველაფერს ---------- სწავლობდა. ***(კარგათ/კარგად)***

4 დაასრულე ხაზგასმული სიტყვა.

რაინდობისთვის ახალგაზრდა ***ბავშვობი. . .*** ემზადებოდა.

5 რომელი <u>არ არის</u> სწორი?

ა) ლამაზი ცხენები. ბ) რაინდის ცხენები. გ) სამი ცხენები.

წერა

1 უპასუხე შეკითხვებს და დაწერე ტექსტის მოკლე ვარიანტი.

- როგორ ემზადებოდა ადამიანი რაინდის წოდების მისაღებად?
- რა იყო რაინდის ძირითადი წესები?
- რა იყო რაინდის იარაღი?
- რამდენი ცხენი ჰყავდა რაინდს?
- ვინ არის ნამდვილი რაინდი?